პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ხუთშაბათი, 21 მაისი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 111 (809) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## უნდოდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

ინგლისის მუშათა გაზეთმა „დეილი გერალდმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ბრიტანეთის თავრობას მიუმართავს მოკავშირე სახელმწიფოებისათვის უგზავნონ საერთო ნოტა საბჭოთა ხელისუფლებას, რათა ნ გასწყვიტოს ყოველგვარი ვშირი კომუნისტურ ინტერციონალთან და განდევნოს ს საბჭოთა ტერიტორიიდან.

ჯერჯერობით ეს ნოტა ჩვენ რ მიგვიღია. თვით ინგლისის თავრობა ოფიციალურად უარს ლაპარაკობს ასეთ რამეზე და პირიქით ირწმუნება, რომ მას რულიად არ სურს გასწყვიტოს დიპლომატიური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან. მაშ რაშია საქმე?

განა სტყუის ინგლისის მუშათა გაზეთი?

სრულიადაც არა. საჭიროა ოლოდ გადავხედოთ ინგლის კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკას დღიდან მისი დგომისა დიდი ბრიტანეთის თავეში, რომ სავსებით დავწმუნდეთ მუშათა გაზეთის დეილი გერალდის“ ცნობის სწორეში.

ვინ არის გაავთრებული ანი საბჭოთა კამპანიის მეთაური დასავლეთ ევროპაში თუ რა იმპერიალისტური ინგლის? ვინ სცდილობდა ბალკაეთში ანტი-ბოლშევიკური რონტის შექმნას თუ არა ინლისი?

ვინ აქეზებს პოლონეთის და ვა ამდაგვარ წვრილფეხა იმერიალისტურ სახელმწიფოებს ვენს წინააღმდეგ თუ არა ეაქციონური ინგლისი?

ამიტომ სრულიად ბუნებივია და სინამდვილეცაა, ომ ინგლისის მთავრობამ მიროთა მოკავშირეებს საერთო იპლომატიური გალაშქრების შესახებ საბჭოთა კავშირის ნააღმდეგ. მაგრამ როგორც ანს ეს მას არ გამოუვიდა და ვზი ნაცარში ჩაუვარდა. ტომაცაა რომ ასე კატეგორიულად აცხადებს ის დღეს ბჭოთა რესპუბლიკებთან დილომატიური ურთიერთობითი წყვეტის შეუძლებლობაზე.

ინგლისის იმპერიალიზმი დაუძინებელი მტერია მუშურ-გლეხური ქვეყნის. ის ყოველ წუთში მზად არის დაამხოს შრომის რესპუბლიკა, თუ საამისო პირობები დაუხვა. ინგლისის კაპიტალისტები დღესაც ვერ შერიგებიან თავისი სიმდიდრეების დაკარგვას რუსეთში. მაგრამ მთავარი, რაც მათ ვერ უპატიებიათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეს—აღმოსავლეთის დაჩაგრული ერების ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ხელის შეწყობა.

სწორედ ამიტომ ყველაზედ უფრო ეჭვრებათ ინგლისის მტაცებლებს საბჭოთა კავშირი, რომ ის მეგობარია და გულშემატკივარი იმ აღმოსავლეთის, რომელსაც უმოწყალოდ სჩაგრავს ინგლისის იმპერიალიზმი.

აქედან ნათელია, რატომ ასე თავგამოდებით გვებრძვის ბრიტანეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია, რატომ სცდილობს ის აამხედროს ჩვენს წინააღმდეგ მთელი კაპიტალისტური მსოფლიო. მაგრამ ამას ის ვერ აღწევს, ვინაიდან თვით იმპერიალისტურ სახელმწიფოების ინტერესები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან. ანტი-ბოლშევიკური ფრონტი ჩაიშალა როგორც მცირე ანტანტის, ისე დიდ ანტანტის საზღვრებში.

აი რატომ არმივიღეთ ჯერჯერობით ჩვენ ევროპის იმპერიალისტებისაგან ულტიმატუმი.

მაგრამ ჩვენი მტრები თავის შეტევას არ გაიგდებენ ხელიდან. მათი მხრივ ყოველ გვარ თავხედობას უნდა მოველოდეთ. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. და უპირველეს ყოვლისა ჩვენი წითელი არმია. უფრო მხნედ შეუდგეთ ჩვენი საბრძოლო უნარის აწევას და წითელი არმიის რიგების გაფოლადებას.

იცოდეჩ ჩვენმა მტრებმა რომ ყოველივე მათი ცდა შებღალონ საბჭოთა კავშირის უფლებები დაიმსხვრევა წითელი დიპლომატიის შორსმჭვრეტელობაზე და წითელი არმიის ძლევამოსილ ხიშტზე.

## წითელი სახალინი.

საბჭოთა კავშირს დაუბრუნა კიდევ ერთი მისი ნაწილი, ომელიც ძალით მოჰგლიჯეს ს სამოქალაქო ომის დროს. არის სახალინი.

როცა რუსეთის მუშათა კლა და მშრომელი გლეხობა ავგანწირულად ებრძოდენ შიაურ და გარეშე მტრებს გაუძღარი მეზობლები უხვად ტაცებდენ მათ მიწებს. იმპერიალისტურ იაპონიამ, რომელიც დიდი ხნით ადრე ხარბის თვალებით უყურებდა სახალინის რუსულ ნაწილს და მუდამ მზად იყო მისი ხელში ჩასაგდებათ, კიდეც შეასრულა თავისი მიზანი და დაიკავა ის. მას შემდეგ მთელი მისი ენერგია და ძალა მიმართული იყო ამ მდიდარი ქვეყნის შენარჩუნებისაკენ. სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებთან ერთად ყვითელი იმპერიალისტებიც გაავთრებულ კამპანიას აწარმოებდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მისი დამხობის მიზნით. მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. უთანასწორო ბრძოლიდან გამარჯვებული მაინც სოციალისტური რესპუბლიკა გამოვიდა.

საბჭოთა ქვეყანა გამაგრდა წელში, დაადგა აღორძინების გზას და გაძლიერდა. დიდხანს ვერ ურიგდებოდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების ფაქტს იაპონია და განაგრძობდა მტრულ შეურიგებელ პოლიტიკას მის წინააღმდეგ. მაგრამ დაბოლოოს ისიც იძულებული გახდა შერიგებოდა ამ გარემოებას. იაპონიამ ეძებინა საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარება, უნაყოფო ბრძოლას და მტრობას მის წინააღმდეგ. ცხადია იაპონიის იმპერიალიზმმა ფრონტი იცვალა არა იმიტომ, რომ ასე მოისურვა მან, მისი პოლიტიკის გარდატეხის მიზეზია იაპონიის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობა. ღრმა ეკონომიური კრიზისი შიგნით, გარეთ ამერიკის იმპერიალიზმის ქიშპობა და მეტოქეობა. აი სწორედ ამ მდგომარეობამ აიძულა იაპონიის მთავრობა წასულიყო დათმობაზე ჩვენთან, ეცნო საბჭოთა კავშირი და დაებრუნებია მისთვის სახალინი.

ამ რამოდენიმე ხნის უკან კიდეც დაიდო საამისო ხელშეკრულება და იაპონიასა და ჩვენს შორის დამყარდა სრულიად ნორმალური ურთიერთობა.

დღეს რადიომ მოგვიტანა ცნობა, რომ სახალინზე უკვე არც ერთი იაპონიის ჯარის კაცი აღარ იმყოფება და მასზე ფრიალებს წითელი დროშა.

სახალინი კვლავ წითელი გახდა. და ვერავითარი ძალა მას ველარ მოაშორებს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახს.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

### მოკავშირეების კოლექტიურ ნოტის შესახებ საბჭოთა კავშირის მიმართ.

გავრცელებული ხმები, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს მოლაპარაკება გამართოს სხვა მთავრობებთან საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის მიზნით.

ამის შესახებ ბენ სმიტი შეეკითხა მაკ ნეილს. „დეილი ჰერალდის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მაკ ნეილი გაექცა სწორ და პირდაპირ პასუხსო. კორესპონდენტი ამბობს, რომ ამის შესახებ ოპოზიცია უფრო დაჟინებით მოითხოვს განმარტებასო.

კორესპონდენტის სიტყვით ინგლისის წინადადება ერთი იმ მუხლთაგანი იყო, რომლის შესახებ ლონდონში მყოფ საფრანგეთის ელჩს უნდა ეთათბირა თავის მთავრობასთან პარიზში.

ბოლოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ეს წინადადება ირჩეოდა მცირე ანტანტის მიერ ბუქარესტში მომხდარ უკანასკნელ სხდომაზე.

### სანამ ამერიკა რუსეთს არ იცნობს, მშვიდობიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ამერიკის სხვა და სხვა ქალაქებში წარმოთქმულ სიტყვაში ამერიკის სენატორი ბორა გამოვიდა ამერიკის მონაწილეობის წინააღმდეგ საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოში. ამასთან ბორა დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას.

მიჩიგანის უნივერსიტეტში 19 მაისს წარმოთქმულ სიტყვაში ბორამ განაცხადა:

„სანამ რუსეთი არ იქნება ცნობილი, მშვიდობიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია“.

### წითელი სახალინი.

19 მაისს საბჭოთა კავშირის ცაკმა მიიღო შემდეგი დეპეშა:

„დღეს კუნძულიდან გავიდენ საოკუპაციო არმიის უკანასკნელი რაზმები. მთელ ტერიტორიაზე აღმ რთულია საბჭოთა კავშირის წითელი ფლაგი.

ამ დღეს საზეიმო მიტინგზე შეკრებილი სახალინის მშრომელები, კვლავ გაერთიანებულნი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან, ესალმებიან თქვენი სახით საბჭოთა კავშირის მშრომელებს და გამოსთქვამენ თავიანთ მისწრაფებას იარონ მათთან ერთად კომუნიზმისაკენ“.

### „ჯაპან ტაიმსის“ განმარტება.

ოფიციოზური გაზეთი „ჯაპან ტაიმსი“, ეხება რა მოსალოდნელ სამოქალაქო ომს ჩინეთში, სწერს, რომ კარახანის პროტესტმა, ციციკარსა და ტაონანს შუა რკინის გზის ხაზის გაყვანისა და მისმა მოთხოვნილებამ თეტრ—გვარდიელთა რაზმების დათხოვნის შესახებ, მოახდინა ჩან-ძო—ლინზე ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება.

ფინ—იუი—სიანმა ისარგებლა ამით და რომ დაემსახურებია კარახანის ყურადღება, შეუკვეთა დიდძალი სამხედრო მასალა საბჭოთა კავშირს.

ამგვარად—დასძენს გაზეთი—ფინ—იუი—სიანი ამით არა პირდაპირად იწვევს ჩან—ძო—ლინსო.

### ბრძოლა მაროკოში.

ჰავასის სააგენტოს ცნობით მაროკოს დასავლეთ ნაწილში მდგომარეობა უცვლელია.

უეზელბალის მოსახლეობაში მშვიდობიანობაა. ხოლო ანჟოტის ზოგიერთი რაზმები წინ მიიწევენ აშირკრანისკენ.

ცენტრში აჯანყებულებმა წაიწიეს მიუტურუსა და ტაუნატუსკენ.

საფრანგეთის ჯარებს ბაბელგადას რაიონში თავს დაესხა აჯანყებულთა რაზმი, რომელმაც ისარგებლა ნისლით, მაგრამ მალე უკუგდებულ იქნა: კიფანისა და მუნის მაღლობში აჯანყებულებს მოუვიდათ დამხმარე ძალები.

## გერმანიის საგარეო პოლიტიკა.

გერმანიის რეიხსტაგში სოციალ დემოკრატიის ერთმა ლიდერთაგანმა ბრეიტშეიდმა, რომელიც ლაპარაკობდა საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ, განაცხადა: „ევროპაში მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის საჭიროა გერმანია შეუთანხმდეს დასავლეთ სახელმწიფოებს.

ჩვენ არ ვხედავთ გერმანიასთან საგარანტიო ხელშეკრულების დადებაში საფრთხეს რუსეთისათვის.

ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა და თანხმობა რუსეთთან, მაგრამ ჩვენი ინტერესები ჩვენთან უფრო ახლოა, ვინემ რუსეთის.“

შემდეგ ბრეიტშეიდმა განაცხადა, რომ გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრები ვერ არის სამართლიანი, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ძალადობის პოლიტიკა ამ საკითხის მოსაგვარებლად და იმედი გვაქვს, რომ ეს საზღვრები გამოსწორებულ იქნება სამედიატორო სასამართლოს ან ერთა ლიგის საშუალებითო.

### კამათი საგარეო პოლიტიკის გარშემო.

გერმანიის რეიხსტაგში ნაციონალისტ ვესტარპმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა ვალდებულება რურის ოლქის გაწმენდის საკითხში განყრელი ნაწილია ლონდონის შეთანხმებებისა და მოითხოვს სამხედრო კონტროლის შეწყვეტას გერმანიაზე.

სახალხო პარტიის დეპუტატმა ფონ რეიბანმა მოითხოვა გერმანიისათვის თანასწორუფლებიანობა და მოქმედების თავისუფლება საერთაშორისო ურთიერთობაში.

დემოკრ. პარტიის დეპუტატმა ბერნსტორფმა განაცხადა, რომ ერთა ლიგაში შესვლა დიდ სარგებლობას მოუტანდა გერმანიას. ზოგიერთები ხედავენ გერმანიის ნაბიჯს ამ მხრივ საშიშად, რომ ერთა ლიგას შეუძლია ომი გამოუცხადოს რუსეთსო, მაგრამ გერმანიას, როცა ის ლიგის წევრი იქნება ხელს შეუშლიდა ლიგის ასეთი „სისულელებს“-ო.

### ოფიციალური პასუხი.

ინგლისის მუშათა პარტიის წევრმა რიდეიმ, თემთა პალატის 18 მაისის სხდომაზე, შეიტანა შეკითხვა იმის შესახებ, რომ მიაქცია თუ არა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყურადღება

ჩიჩერინის სიტყვას, რომელშიაც უკანასკნელი კვლავ აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობა მზადაა მიიღოს თავის თავზე ყველა ის ვალდებულებანი, რომელნიც გამომდინარეობენ სრული დიპლომატიური კავშირის აღდგენიდან.

შემდეგ რიდეი შეეკითხა, განზრახული აქვს თუ არა მთავრობას ამ განცხადების შემდეგ განაახლოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან სადავო საკითხების სავსებით მოსაგვარებლად.

ამაზე გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მიუთითა თავის, 2 მარტის განცხადებაზე, რომელშიაც ნათქვამია, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა გულდასმით გაარჩევს საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებებს.

## შეეშინდა წითელი ფერის.

საბჭოთა გემს „ვაცლავ ვოროვსკის" ბრაზილიის მთავრობის მიერ აკრძალული აქვს ნავთსადგურ ბაიაში შესვლა.

ამჟამად გემი გზაშია და მიემართება მონტევიდეოსკენ (სამხრეთ ამერიკაში) შეერთებულ შტატების ხე-ტყის მასალით დატვირთული.

## რეაქციონერებს ეშინიათ სიმართლის გამომჟღავნების.

კონსერვატორული გაზეთები „ტაიმსი" და „დეილი ტელეგრაფი" ეხებიან რა ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს კომისიის ანგარიშებს „ზინოვიევის წერილის" შესახებ უწოდებენ მას თავიანთ მოწინავეებში „ბავშვურს" და „თავხედობად" ნათლავენ მოთხოვნილებას ბრიტანეთის სახელმწიფო არქივების გადასინჯვის შესახებ.

## სრულიად საკავშირო პრესის მუშათა ყრილობა.

**ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება.**

10 მაისის დილის სხდომაზე საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ლუნაჩარსკიმ.

მომხსენებელმა დაახასიათა დღევანდელი მდგომარეობა, როგორც დროებითი ზავი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

შემდეგ მან დაახასიათა სამეურნეო აღმშენებლობა და გადავიდა კულტურულ ფრონტზე და განაცხადა, რომ ამ ფრონტზე დიდ როლს თამაშობს საბჭოთა პრესა.

ლუნაჩარსკი დაწვრილებით შეეხო ზეპირი და ბეჭვდითი სიტყვის მნიშვნელობას.

# სრულიად საკავშირო რემედასის ყრილობა.

**18 მაისის საბოლოო სხდომა.**

საბოლოო სხდომაზე გერმანიის პროლეტარიატისა და საერთაშორისო ქალთა სეკრეტარიატის სახელით ყრილობას მიესალმა კლარა ცეტკინა.

ყრილობამ მიიღო მოწოდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა მიმართ.

შემდეგ წაკითხულ იქნა გერმანიის კონგრესის მისალმების დეპეშა.

სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა ლეპეშინსკიმ, რომელმაც აღნიშნა რემედასის როლი და მომავალი ამოცანები საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობაში.

## რკპ—ს ხელმძღვანელობით ლენინის გზით.

ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ყრილობას სწამს, რომ ჩვენი ქვეყანა რკპ—ს ხელმძღვანელობით წავა ლენინის მიერ დასახულ გზით და კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს მიაღწევს სამეურნეო და კულტურულ განვითარების სფეროში".

ლუნაჩარსკის შემდეგ ინგულოვმა თავის სიტყვაში ვრცელი ანგარიში მოიყვანა პრესის მომუშავეთა სექციის ბიუროს მუშაობის შესახებ.

## რემედასის ყრილობა საფრანგეთში.

პარიზში მომხდარ პირველი საფრანგეთის რემედასის ყრილობას დაესწრო 79 დელეგატი.

მარტიმ თავის მოხსენებაში გააშუქა მსოფლიო რეაქციის შემოტევა მშრომელებზე.

## რედაქტორის გაჩხრეკა.

გაზეთ „ფორვერტსი-"ს პასუხისმგებელ რედაქტორის კაბინეტში პოლიციამ მოახდინა გაჩხრიკა ბეჭვდითი სიტყვის წესების დარღვევის გამო.

# ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

**19 მაისის სხდომა.**

**ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის ფინანსიურ მდგომარეობაზე. საბჭოთა კავშირი გამოვიდა ფინანსიური კრიზისიდან.**

— დღეს უდავო ფაქტია— განაცხადა სოკოლნიკოვმა, რომ საბჭოთა კავშირი გამოძვრა ფინანსიურ კრიზისიდან, რაიც დაწყებულ იქნა მეფის ჩამოგდების შემდეგ.

საბჭოთა კავშირისათვის არ იყო საკმარისი გამკლავებოდა მტრებს და ინტერვენციას. ჩვენ უნდა გავმკლავებოდით ფინანსიურ და სავაჭრო ბლოკადას, რომელსაც შეეძლო ჩაეხშო ჩვენი საბჭოთა ქვეყანა. მაგრამ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ამ ბლოკადამ ვერ შეაჩერა ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განვითარება და საკუთარი ღონისძიებებით ჩვენ გამოვდივართ გამარჯვების გზაზე.

კაპიტალისტების აზრით საბჭოთა კავშირს გამოსავალი არ ქონდა. ისინი გვიწინასწარმეტყველებდენ მრეწველობის სრულიად დანგრევას და გვირჩევდენ ერთად ერთ გამოსავლად მეფის ყველა ვალების გადახდას. ამ დავაში საბჭოთა კავშირი მართალი გამოდგა, რომ ის არ წავიდა ასეთ შეთანხმებაზე.

**ჩვენი სახელმწიფო საკუთარის ძალებით გამოდის მეურნეობის განვითარების ფართე გზაზე.**

**ფულის რეფორმამ სრულიად გაიმარჯვა.**

**ჩვენი ფულის სიმტკიცე, როგორიცაა მაგ. ყიდვითი უნარი, თანდათან ძლიერდება შინაურ ბაზარზე. განწყობილება ჩვენს ფულსა და ოქროს შორის შეურყევია.**

**ჩვენი ამოცანები შეფარდებულ უნდა იქნას ჩვენი ბიუჯეტის ზრდასთან.**

ჩვენ უნდა დავისახოთ ისეთი ამოცანები, რომელთა განხორციელებაც შეიძლებოდეს ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში. ლენინი ამბობდა: **„უმჯობესია ცოტა გააკეთო და კარგად."** ეს ლოზუნგი სახელმძღვანელო უნდა იყოს ჩვენს მომავალ მუშაობაში. უახლოეს წლების განმავლობაში ჩვენი ამოცანები უნდა შეეფარდებოდეს ჩვენი ბიუჯეტის ზრდას.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საბიუჯეტო მუხლებს რევოლიუციამდი, შემდეგ დაახასიათა დღევანდელი საოლქო ბიუჯეტის მდგომარეობა და გადავიდა საგადასახადო პოლიტიკაზე, აღნიშნა გადასახადების სიმძიმე ღარიბ მოსახლეობისათვის, მოიყვანა მთავრობის ზომები ამ გადასახადების შესამსუბუქებლად და განაცხადა:

„ბოლო უნდა მოუღოთ დღემდის დარჩენილ გადასახადების უკანონოდ აკრეფას და უწესოდ დაბეგვრას. ხშირად ნებაყოფლობითი სახით ტარდება იძულებითი.

გასული წელი ჩვენში უდეფიციტოდ ჩატარდა. ამის გამო ჩვენ შევძელით დავხმარებოდით გლეხობას უფრო ფართედ, ვინემ გასულ წლებში.

**დახმარება კუსტარულ მრეწველობას.**

ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ კუსტარულ მრეწველობას. მხოლოდ ამ პოლიტიკით ჩვენ შევასრულებთ ჩვენი საგლეხო მეურნეობის გაძლიერებას. რამდენადაც კუსტარული მრეწველობა ხელს უწყობს საგლეხო მეურნეობის გაძლიერებას, იმდენად ჩვენ უნდა დავეხმაროდ მას კრედიტების სახით.

ჩვენი საკრედიტო საქმე მტკიცეა. ქაღალდის ვალიუტის კურსი უზრუნველყოფილია.

ჩვენ უნდა ვეცადოთ, რათა საქონლის გატანა აღემატებოდეს შემოტანას.

არის კიდევ ერთი გზა შემოსავლის გასაძლიერებლად. ეს არის უცხოეთის კრედიტებისა და სესხის ჩათრევა. **ჩვენ არ უარვყოფთ შეთანხმებას, თუ ეს შეთანხმება იქნება ურთიერთ მისაღებ პირობებში.**

**სასტიკი ბრძოლა სიღარიბეს.**

ჩვენ მოგვეპოვება ბუნებრივი სიმდიდრენი. ჩვენ გვყავს მილიონი მუშა ხელი, რომ ამოვიღოთ მიწიდან ის სიმდიდრე. ჩვენ სწორედ უნდა მოვაწყოთ ჩვენი მეურნეობა, ავამოძრაოდ ადამიანის ძალა, ავანთოთ ის, რათა ამოვიღოთ მიწიდან ეს გაუგონარი სიმდიდრე. ჩვენ უნდა გამოუცხადოთ სასტიკი ომი სიღარიბეს. ჩვენ უნდა წავიყვანოთ ჩვენი ქვეყანა მეურნეობის ჩქარი ტემპით აღორძინებისა და სოციალიზმისაკენ.

**უკრაინის გლეხ-ქალთა მისალმება ყრილობას.**

სოკოლნიკოვის მოხსენების შემდეგ ყრილობას მიესალმა უკრაინის გლეხ-ქალთა დელეგაციის წარმომადგენელი, რომელმაც ძღვნად გადასცა ყრილობას ლენინის სურათი.

შემდეგ ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომლის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. სოკოლნიკოვი.

**ამხ. სოკოლნიკოვის საბოლოო სიტყვა.**

ამხ. სოკოლნიკოვმა პასუხი გასცა შეკითხვებზე და შემდეგ გადავიდა საერთო შენიშვნებზე.

„ჩვენ—განაცხადა სოკოლნიკოვმა—უნდა ვეცადოთ საგადასახადო სისტემის გაუმჯობესებას. რაც შეეხება სასოფლო საგადასახადო საქმეს, გადასახადების აკრეფა უნდა სწარმოებდეს არა იძულებითი, არამედ დარწმუნებითი წესით. გლეხობა შეგნებულად ეპყრობა საგადასახადო მოვალეობას. ეს შეგნება იზრდება, რაც უფრო მეტად უწყობს ხელს ჩვენს საბჭოთა აღმშენებლობას.

**19 მაისის საღამოს სხდომა.**

საღამოს სხდომაზე წითელი არმიის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფრუნზე, რომელმაც ილაპარაკა 2 ნახ. საათის განმავლობაში.

ფრუნზეს მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გლეხების, წითელ-არმიელთა წარმომადგენლებმა და სხვა.

სხდომა დაიხურა 10 საათზე.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.

**როგორი ჭურვებით ისვრის არტილერია.**

ყველა ჭურვები, რომლითაც ისვრის არტილერია, თავის დანიშნულების მიხედვით იყოფა სამ ნაწილად. პირველ ნაწილში შედის საფანტიანი ჭურვები (შრაპნელი), მეორეში-ფუგასური მოქმედების (გრანატა და ბომბი), მესამეში დაკვრითი მოქმედების.

ამ ჭურვების დანიშნულება ასეთია: შრაპნელი საჭიროა ცოცხალი მიზნეის შესამუსრავად (ადამიანის, ცხენის). გრანატა და ბომბი (ესენი განირჩევიან ერთმანეთისაგან იმით, რომ გრანატა წონით ერთ ფუთამდი გამოდის, ხოლო ბომბი ერთი ფუთი და მეტი) იხმარება სხვა და სხვა სიმაგრეების დასანგრევად და, ბოლოს, მესამე გვარის ეგრედ წოდებული დაკვრითი მოქმედების ჭურვები იხმარებიან ჯავშნის შესამუსრავად, რომლითაც დაფარულია სამხედრო საზღვაო გემები, ჯავშნიანი მატარებელი და სხვა.

ყველა ეს ჭურვები სხვა და სხვა გვარად არიან აგებული. შრაპნელს აქვს მაგარი ფოლადის მასრი და თავი სადისტანციო მილით.

მასრის ძირზე მოთავსებულია ამფეთქებელი ნივთიერება. ცალკე გამოყოფილია ადგილი რგვალი ტყვიების ჩასაწყობად. შრაპნელის აფეთქების დროს, ყველა ეს რგვალი ტყვიების (3 დიუმიანი ჭურვებში ასეთი ტყვიების რიცხვი აღის 260-დი, 6 დიუმიანში—680-დი). გაიფანტებიან და მუსრავენ ირგვლივ ყველაფერს, განსაკუთრებით ყოველ სულიერს.

შრაპნელის აფეთქება შეიძლება განსაზღვრულ წუთში (სადისტანციო მილი გამოანგარიშებულია წვისათვის 22-დან 36 წამამდი (სეკუნდი) იმისდამიხედვით, თუ როგორ მანძილზე უნდა იქნას, ჭურვა აფეთქებული. შრაპნელი შეიძლება აფეთქებულ იქნას ერთბაშად, იარაღის ლულიდან გამოვარდნისთანავე. ეს ხერხი ხშირად იხმარება მტრის იერიშის მოგერიების დროს და ეწოდება „სროლა საფანტით".

გრანატა და ბომბი ისეთივე აგებულობისაა, როგორც შრაპნელი, მხოლოდ ტყვიები ჭურვაში არ იმყოფება. ტყვიების მაგივრად ჭურვა ივსება ამაფეთქებელ ნივთიერებით. ჭურვის გვერდები შრაპნელისაზე უფრო თხელია, ხოლო თვით ჭურვა უფრო გრძელი. გრანატა და და ბომბი სქდება რაიმე დაბრკოლებაზე მოხვედრის დროს (მიწაზე ან სხვა რაიმე მიზანში). როცა გრანატა ან ბომბა მოხვდება ამა თუ იმ საგანში, სქდება და იწვევს დიდ ნგრევას, ხოლო ნამტვრევებით მუსრავს ცოცხალ მიზნებს.

არის გრანატები, რომლებიც სქდებიან ჰაერში და მოცვივა დაბლა ნამტვრევები.

დაკვრითი მოქმედების ჭურვები მზადდება ერთგვარი ნაწრთობი ფოლადისაგან და აქვთ სქელი გვერდები (კედლები). ასეთი ჭურვა მოწყობილია ისე, რომ ჯერ ის განგმირავს მიზანს და შემდეგ კი აფეთქდება. რათა ჭურვა არ ცურდებოდეს ჯავშანზე და არ სხლტებოდეს, ჯავშან-მგმირავი ჭურვის თავი მზადდება უფრო რბილი ფოლადისაგან.

ი. ბარ.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲘᲛᲘᲐ.

## ᲒᲐᲖᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ.

გაზებით თავდასხმის დროს მეტად სერიოზულად იწამლება საჭმელი და სასმელი წყალი. ამ შემთხვევაში საქმე მეტად რთულია, ვინემ ტანისამოსის მოწამვლის დროს. მოწამლული საჭმელის უვნებელყოფა შეუძლებელია გარეცხითა და გაცხელებით—ისე რომ შეიძლებოდეს მისი გამოყენება. ამიტომ მოწამლული საჭმელის უვნებელყოფისთვის ზრუნვა ზედმეტია. მხოლოდ საჭიროა მიიღო ზომები და მოსპო მოწამლული საჭმელი, რათა ის შემთხვევით არ ჩაუვარდეს ხელში ვინმეს და არ მოწამლოს. გაზით მოწამლული ყოველი საჭმელი უნდადასწვა ან ჩაყარო წყალში, ან ... მიწაში და მოიყვანო ისეთ მდგომარეობაში, რომ მისი საჭმელად გამოყენება ისედაც შეუძლებელი იყოს. საჭმელის მოწამვლის უზრუნველსაყოფად მიღებულ უნდა იქნას წინასწარ სიფრთხილის ზომები. ვინაიდან მომავალ ომში ხშირად იქნება გაზების ხმარებლუ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რათა საჭმელი ყოველთვის კარგად იქნას შეხვეული და საიმედოდ შენახული. ეს კიდევ ცოტაა: გაზებით თავდასხმის მოლოდინში აუცილებელია საჭმელის მარაგი კარგად უნდა იქნას დახურული და დაფარული სათადარიგო საბნებით, ტომრებით, ფარაჯებით და სხვა. საჭმელის თავისი ნაწილი ყოველმა მეომარმა კარგად უნდა შეჰხვიოს და ისე უნდა ატაროს თან.

მოწამლულ საჭმელზე არა ნაკლებ საფრთხილოა მოწამლული წყალიც, ვინაიდან ზოგიერთი გაზები მეტად სწამლავენ წყალს. მეტად საფრთხილოა ორმოს ძირზე, ანუ ყუმბარების ამონახეთქ „ძაბრების" ძირზე ჩამდგარი წყალი. აქ ყოველთვის რჩება მომწამლველი გაზის დიდი ნაწილი და ამ „ძაბრში" ჩადენილი წყალი მთელი კვირაობით მოწამლული რჩება. დიდ ტბებში და მდინარეებშიაც კი, მოწამვლის შემდეგ წყალი ერთხანს კიდევ მავნებელი რჩება და მისი ხმარება შეიძლება მხოლოდ დიდი სიფრთხილით.

უნდა გვახსოვდეს, რომ გაზით მოწამლული წყლის სასმელად ხმარება არ შეიძლება არც ცხოველებისათვის (ცხენი, ძაღლი და სხვა). მოწამლული წყლით არ შეიძლება აგრეთვე არც რეცხა, არც ჭრილობის მობანა.

ამ წერილში მოყვანილი რჩევა დარიგების ასრულება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია გაზებით თავდასხმის დროს თავდასაცავად.

ლ. ვორონოვი.




## ჩვენი ასეული სამეურნეო ფრონტზე.

**(მე-6-სე ლეგიონის მესამე ასეული).**

ხსენებული ასეული სამხედ-ო და პოლიტ-მეცადინეობას-ნ ერთად მხურვალე მონაწილეობას ღებულობს ასეულის ონომიურად გაუმჯობესების მეში.

ამ მიზნით ჩვენმა ასეულმა ვისი საკუთარი ძალებით დაუშავა ორ ქცევა ნახევარი წა, რომლის ნახევარზე დასილ იქმნა ქერი, ხოლო მერე ნახევარზე კართოფილი, მბოსტო, პამიდორი და სხვა ვანილი, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ წითელ-არმიელთა საილის და ვახშამის გასაუმჯობესებლად.

თესლეულის შესაძენათ ლეგიონის სანეო ნაწილმა გაიღო საჭირო თანხა, რითაც საშუალება მოგვეცა ზემოაღნიშნული სისრულეში მოგვეყვანა.

ჩვენი ასეულის წითელი შოლაშქრეები გულმოდგინეთ ეკიდებიან თავიანთი ნაშრომის მოვლას; ყოველდღიურად რწყავენ მას, მიუხედავათ იმისა, რომ წყლის მოტანა უხდებათ ძალიან შორი მანძილიდან.

თუ კარგი მოსავალი იქნა და პირუტყვებიდან დავიცავით (შეღობილი არ არის), მომავალ წელში ჩვენი ასეული ქერით, კართოფილით და კომბოსტოთი სრულიად უზრუნველყოფილი იქნება.

სამხკორი ასათიანი.

## ერთობლივი ძალით უფრო გამოვასწორებთ ნაკლს.

გაზეთ „წითელ არმიელის" -34 და 106 №№-ში მოთავსებულია წერილები, სადაც უმთავრესად ეხებიან პირველ ლეგიონის კომენდანტს, რომელიც თქოს არავითარ ყურადღებას ა აქცევს ლეგიონის განათეას, სისუფთავის დაცვას, წყასადენის მილის გაკეთებას და სხვა.

მე არ შემიძლია უარვყო წერილის ის ნაწილი, რომელიც ეხება უსუფთაობას, ხოლო მიზეზი ამისა არის ის რომ ლეგიონში მყოფი უმრავლესობა არ იცავს სისუფთავეს.

მართალია ისიც, რომ წყალსადენის მილთან დგას ჭაობი. მისი მიზეზი არის ის, რომ ყოველთვის ჭამის გათავების შემდეგ იქ რეცხენ ჭურჭლებს, დარეცხის დროს კი იქცევა წყალი და დგება ჭაობი.

ჭურჭლების დარეცხის დროს შეუძლებელია, რომ წყალი არ დაიქცეს და სისუფთავე სავსებით იქნას დაცული.

შემდეგ ამხ. კოდალა სწერს: მაგ. სინათლის შესახებ, „აქნობამდე არ არის გაყვანილიო".

ვინაიდან ლეგიონს არა აქვს საშუალება ელექტრონის მასალის შეძენისა, ამიტომ დღემდე მართლაც არ არის გაყვანილი განათება შტაბის პატარა ოთახში.

ფეხის ადგილებში სინათლე ყოველთვის იყო და ეხლაც არის.

რაც შეეხება სამხედრო-პოლიტ-სკოლის განათებას ეს პირველ ლეგიონს არ ეხება.

პირადათ მე ყოველთვის ვცდილობ გამოვასწორო ყოველი. ნაკლი მხოლოთ ამასმე მაშინ შევძლებ, თუ ლეგიონის მოწინავე ამხანაგები დამეხმარებიან ყოველთვის და ამასთანავე ერთად აუხსნიან სისტემატიურად იმ წითელ არმიელებს, რომლებიც არ აქცევენ სისუფთავეს სათანადო ყურადღებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მით უმეტეს ეხლა, ამ ზაფხულის სიცხეების დროს.

1-ლი ლეგ. კომენდანტი ბერიძე.

## გლეხები სიხარულით შეგვეგებენ.

აპრილის უკანასკნელ რიცხვებში ჩვენი სამხედრო გაერთიანებულ მეთაურთა სკოლამ კურსანტების ერთი ნაწილი გადაგვაგზავნა ბანაკის მოსაწყობათ. ამხანაგებს ძლიერ უხაროდათ ჩვენი ძველი ნაბინადარის ნახვა და უკვე გაცნობილ გლეხებთან შეხვედრა.

ჩვენს წინათგრძნობაში არ მოვტყუვდებულვართ. ჩავედით თუ არა დანიშნულ ადგილზე აუარება გლეხები შამოგვეგებენ და როდესაც გაიგეს, რომ სკოლა იქ ბანაკდებოდა საზღვარი არ ქონდა მათ სიხარულს.

— თქვენი ჭირიმეთ, თქვენი გაიძახოდა ერთი მოხუცი გლეხი, შარშან გაჭირვება არაფერში გვინახავს ისე გვეხმარებოდით და წრეულსაც მოგვიწყობთ ხელს არაა?

— კი ბაბუ კი, წრეულს უფრო მეტად მოგეხმარებით უპასუხა ერთმა ამხანაგმა.

იმ დღესვე გავმართეთ გლეხებთან მოკლე საუბარი. გავაცანით ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობა, როგორ დიდ ყურადღებას აქცევს მთავრობა გლეხობას, როგორ ამცირებს გლეხებზე სასურსათო გადასახადს და მრავალი სხვა. გლეხები ყურადღებით გვისმენდენ და ყველაფერს იწონებდენ.

ასე ჩავატარეთ გლეხებთან პირველი შეხვედრა. შემდეგ ჩვენ შევუდექით ბანაკის მოწყობას. გვინდოდა სკოლას შესაფერად მომზადებული დავხვედროდით და ეს სურვილი მშვენივრად შევასრულეთ. ბანაკი გაჩაღებული დავხვედრეთ ამხანაგებს.

არ გვავიწყდებოდენ გლეხები მუშაობის დროსაც და თავისუფალ-შესვენების საათებში ჩვენთან მოსულ გლეხებს კვლავ ვესაუბრებოდით სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

სულ. იმნაიშვილი.

## როგორ ვხვდებით ახლად გამოწვეულებს.

**პირველი ლეგ. მეორე ასეული.**

18 მაისს საღამოს, ჩვენი ასეულის ახლად მოსულ წითელ-არმიელებს თავი მოეყარათ ეზოში და გაემართათ სიმღერა.

ძველი არმიელები და მეთაურებიც იქ იყვენ, სიამოვნებით უგდებდენ ყურს ახლად მოსულების მხიარულებას. წათამამდენ ამხანაგები და გაახურეს საცეკვაო სიმღერა.

ჩვენი მეთაურები პირველი მაგალითის მიმცემი შეიქნენ. ისინი გადადიოდენ და თამაშში იწვევდენ ახლად მოსულებს, რომლებიც დარცხვენილი და თან გახარებულნი გადიოდენ საცეკვაოდ.

ვახშმობის დროს ახალწვეულების ერთ ჯგუფს შუაში ჩასდგომოდა ერთი ისიც ახლად მოსული ამხანაგი და გაცხარებით ელაპარაკებოდა: „ბიჭებო, ტყვილა გვეზარებოდა ჯარში წამოსვლა. რის გვეშინოდა? აქ უფროსებიც კი გვეამხანაგებიან. ხომ უყურებდით როგორ ცეკვავდენ ჩვენთან დღეს? წერა-კითხვას გვასწავლიან, განვითარდებით და ისე დავბრუნდებით სახლში"-ო

საერთოდ ახალწვეულებზე დიდი ყურადღება აქვთ მიქცეული ასეულში. როგორც მეთაურები ისე სხვებიც სცდილობენ რაც შეიძლება დააკმაყოფილონ ახლად მოსულების ცნობის მოყვარეობა.

გ. ბაქრაძე.

## ჩვენი ბანაკობა.

**მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.**

ქარ. მეთაურთა სკოლა 13 მაისს უკვე მოთავსდა თავის საბანაკო ბინაზე.

შემდეგ დღეებში მას მოჰყვა ოცდა მეერთე სკოლა და სომხეთის მეთაურთა სამხედრო სკოლა.

სკოლებს კარვები მზად დახვდათ.

სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. ეწყობიან: ბიბლიოთეკა—სამკითხველოები, კლუბები და სკოლების სხვა ნაწილები. კურსანტები პრაქტიკულ მეცადინეობას უკვე შეუდგენ.

ქართულ მეთაურთა სკოლამ—გამოიმუშავა საბანაკო პოლიტიკური და კულტურული მუშაობის საწარმოო გეგმა.

ამ მოკლე ხანში ყველა სკოლები საერთო საწარმოო გეგმასაც გამოიმუშავებენ.

ამინდი ჯერჯერობით კარგია და თუ ასე გაგრძელდა, როგორც სამხედრო ვარჯიშობას—ისე საერთო ხასიათის საკლუბო მასიურ მუშაობას—მეტი გასაქანი და შინაარსი მიეცემა.

სკოლების კოოპერატიული დუქნები ჯერ არ მოწყობილა (მეტად საჭირო კი არის!). კოოპერატიულ დუქნებს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ სამხედრო სკოლების თანამშრომლებს — ეკონომიური პირობების სიმძიმე შეუმსუბუქდეთ.

გასული წლის ბანაკობის დროს, როგორც სამხედრო მომზადებას, ისე პოლიტიკურ—კულტურულ მომზადებასაც დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული... ოლიმპიადის—შეჯიბრებებშიაც კი იყო შეტანილი საკლუბო და მხატვრული მუშაობა. ამან, რა თქმა უნდა, დიდი დადებითი შედეგები მოგვცა... ყველა სამხედრო სკოლების მიზანია, გასული წლის საბანაკო მუშაობას—მიმდინარე წლის მუშაობამ აჯობოს! ეს დასაწყისშივე გამოირკვევა.

ამ დღეებში მოელიან ადერბეიჯანის სამხედრო სკოლას. სულ მალე—ყველა სკოლები შეუდგებიან მუშაობის გაშლას... საამისო მზადება კარგა ხანია—დაიწყო.

სამხკორი ჩვენი.

## გამოასწორეთ ნაკლი.

გურიის ათასეულში ზოგიერთ ნაკლს გამოსწორება სჭირდება. პირველ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს პურის უვარგისობა. ჩვენი ნაწილი ღებულობს გამომცხვარ პურს ფურნიდან, რომელიც პურს სრულიათ არა გავს. წითელ-არმიელები ცომ პურს ვერ სჭამენ, მხოლოთ მარტო კანს გააცლიან საჭმელათ და გულს კი ჰყრიან. ამითი წითელ-არმიელები ხშირად რჩებიან მშივრები. დღემდის არავითარი ზომები არ არის მიღებული ამ ნაკლის გამოსასწორებლათ.

პურის გარდა, ნაწილში მიღებული ხორციც უვარგისია საჭმელათ. უკვე სიცხეებია და ხორცს სულ სხვანაირი შენახვა სჭირია ვიდრე ზამთარში. ბუზების მიერ კვერცხებ მიყრილი ხორცის ჭამა შეუძლებელია.

ათასეულის უფროსებმა ამ გარემოებას უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება.

წიწაკა.

## სამხკორთა შენიშვნების შედეგად.

**სამხედრო პროკურორი ამხ. ხიხაძე გვატყობინებს, რომ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ სამხკორთა კორესპონდენციებზე: „მნევ, მოგვაქციე ყურადღება" და „ჩვენ რაღა დავაშავეთ" № 107 და აგრეთვე „ნუ დასტოვებთ უპატრონოდ" № 108-ში, სამხედრო პროკურატურის მიერ მოეთხოვა ახსნა განმარტება ნაწილის უფროსს და დაწესებულების მეთაურს.**

## მიაქციეთ ყურადღება.

მეხუთე ლეგიონის ფურნეში მუშაობს 8 წითელ არმიელი მუდმივათ. მათ არა ყავთ მეორე ცვლა, რის გამოც არასდროს არა აქვთ მოსვენება, თითქმის არც კვირა-უქმი დღეებში.

აღნიშნულ ფურნეში ყოველდღიურათ ცხვება 70 ფუთამდე პური, რაიც მოითხოვს დიდ შრომას. ამას რომ თავი დავანებოთ ყოველთვიურად ამ ფურნეს ესაჭიროება 1500 ფუთი ფქვილი, რისი გადმოტანა პირდაპირ აჭირვებს საქმეს. ამასთანავე ერთად პურის გამოსაცხობათ საჭიროა მაზუთი, შეშა, წყალი და სხვა. ასე ამ რიგად პურის გამოცხობა ყოველ დღიურათ მოითხოვს აუარებელ შრომას, რის შესრულებას 8 წითელ არმიელი ვერ აუდის და საჭიროა მეორე ცვლა.

სამნეო ნაწილის უფროსი კი ასე მსჯელობს, რომ 8 კაცს შეუძლია ორ ცვლათ იმუშაოს, რაიც არ არის სწორი, რადგან ამ 8 წითელ არმიელებში ყველამ ხომ არ იცის პურის ცხობა.

გარდა იმისა პურის მცხობლებს წინეთ ყოველ თვიურად ეძლეოდათ 2 ფუთი ფქვილი თვითეულ მათგანს.

მიიღეს აგრეთვე ფული ხუთხუთი მანეთი ჯილდოს სახით. ამ ბოლო ხანებში კი ყოველივე ესენი მათ მოუსპეს, აღარ ეძლევათ აღარც ფქვილი და აღარც ფული.

რაც შეეხება მათ პოლიტიკურ განვითარებას ამ მხრივაც ძალიან ჩამორჩენილები არიან. თუმცა ფურნის გამგე ატარებს მათთან პოლიტსაათს, მაგრამ ამას არავითარი ნაყოფი არ მოაქვს, ვინაიდან მოღლილ წ. არმიელებს მისი ლაპარაკი ნანასავით ესმით ყურებში. ყოველივე ზემო-ჩამოთვლილს საჭიროა მიექცეს სათანადო ყურადღება.

სამხკორი მ სკი.

## მოდარაჯე გუნდის ცხოვრებიდან.

ჩვენი გუნდი ყოველმხრივ უზრუნველყოფილია. წითელ არმიელები ყველა წერა კითხვის მცოდნენა არიან და ამიტომ ჟურნალ გაზეთები და ლიტერატურა ჩვენთვის აუცილებელ მოთხოვნილებითი საგანს შეადგენს. ლეგიონის ბიბლიოთეკა სათანადოთ აკმაყოფილებს ჩვენს ასეთ მოთხოვნილებას.

ამას გარდა ძლიერ დაგვიახლოვდენ ადგილობრივი რკინის გზის მუშები, რომლებიც ხშირად მოდიან ჩვენთან, მოაქვთ ახალი გაზეთები და ვმართავთ საუბრებს.

**პირდაპირ მოვალეობასაც ერდგულად ვემსახურებით.**

სამსახურს გუშაგობას გულმოდგინეთ ვეკიდებით. მტკიცე დისციპლინა ხელს უწყობს სადარაჯოების წესიერად დაცვას. ხიდეების ყარაულების უფროსი ყოველ მესამე დღეს მოდის და ათვალიერებს სადარაჯოებს, გვეკითხება თუ რამე გვესაჭიროება და სხვა. სამსახურის შესრულებით ის კმაყოფილია.

**კავშირი სოფელ ძეგვთან.**

სოფელ ძეგვში ახალგაზრდა კომკავშირელები სისტემატიურად აწარმოებენ პოლიტ-მეცადინეობას კვირაში სამჯერ. თავისუფალ დროს წითელ არმიელები სიამოვნებით ვესწრებით ამ მეცადინეობას და მათ სხვა კულტურულ საქმიანობაშიც შეგვაქვს ჩვენი წვლილი.

ხშირად ვმართავთ კამათს ამა თუ იმ საკითხებზე.

ხშირად ვებაასებით და უხსნით ამხანაგებს ფიზკულტურის მნიშვნელობას, მთავრობის დადგენილებებს და სხვა მათთვის საჭირო და საინტერესო საკითხებს, რაშიდაც ძლიერ გვემადლიერებიან.

სამხკორი პ. ზაქარიაძე.

## მე-6-სე ლეგიონის კოოპერატივი.

ჩვენს ლეგიონს აქვს თავისი საკუთარი კოოპერატივი, რომელიც ლეგიონის უფ-პოლიტ-შემადგენლობას და წ. არმიელებს აწვდის დაკლებულ ფასებში სხ. და სხ. საჭირო საგნებს, როგორიც არის მაგალითად: პაპიროსი, წუმწუმა, შაქარი და სხ.

საქონელი უფ-პოლიტ-შემადგენლობას ეძლევათ ნისიათ ჯამაგირიდან ჯამაგირამდე, რაც აადვილებს მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს,

მხოლ ე ერთ ნაკლს აქვს ადგილი ჩვენი კოოპერატივის მუშაობის საქმიანობაში: ცენტრალური მაღაზია არ აწვდის კოოპერატივს გამომცხვარ პურს, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მით უმეტეს ეხლა, როდესაც წურტებიდან ჩამოსული უფ-პოლიტ-შემადგენლობა განიცდის ამ მხრივ ნაკლულევანებას.

იმედია ცენტრალური გამგეობა გამოასწორებს ამ ნაკლს და მოგვაწვდის ყოველდღიურად გამომცხვარ პურს.

სამხკორი ა—ნი.

სოფ. ძიგურის (სენ. მაზრა) მცხოვრებლებმა იშუამდგომლეს ნოსირის თემიდან წყემის თემზე მიწერის შესახებ.

**სათესლე სესხათ.** გლეხებისათვის დასარიგებლათ, ხარაგოულის თემის აღმასკომებს სამაღმასკომმა გადასცა 2.500 მანეთი.

**გლეხკომების სახელოსნოები.** ველისციხის (კახეთი) გლეხკომმა გადასწყვიტა გააფართოოს თავის სახელოსნოები.

**ხიდის შეკეთება.** სოფ. ჯიგრაშენსა და ორჯალარს შორის (ჯავახეთი) ქვის ხიდის შესაკეთებლათ სამაღმასკომმა გადასდო ცემენტის საჭირო რაოდენობა.

# ახალი ამბები.

— **პოლიტგანყოფილებაში.** პარასკევს, 22 მაისს პოლიტგანყოფილების შენობაში გაიმართება ცეკავშირის კომუჯრედის და პოლიტგანყოფილების უჯრედთა გაერთიანებული კრება. დასწრება უპარტიოებსაც შეუძლიათ.

— **ავტო მიმოსვლა.** ახლო ხანში გაიხსნება მსუბუქი ავტომობილებით და ავტობუსებით მიმოსვლა ტფილისსა და ახლო მდებარე აგარაკებს შორის.

— **პურის შემოტანა.** ა. კ. რესპუბლიკებში პურის დეფიციტის დასაფარავად 10 მილიონი ფ. პურის შემოტანის ამოცანა შესრულებულია თითქმის სავსებით.

— **კოოპერატიული რუქა.** ცეკავშირმა გამოსცა საქართველოს კოოპერატიული რუქა, სადაც მკაფიოთაა წარმოდგენილი საქართ. კოოპერატივების ქსელი.

— **საექიმო ხელსაწყო იარაღების** შესაძენათ სოფ. დაზღ. სამმართველომ გადასდო 8 ათასი მანეთი. ხელსაწყოები გადაეცემა პროფესიულებათა შემსწ. ლაბორატორიას.

## ამბა გამოიცანი?

**ამოცანა № 25.**

გვაქვს წუმწუმის ღერებისაგან გაკეთებული ხუთი ოთხკუთხედი შემდეგ ნაირად.

ამ ფიგურას გამოაკელით სამი ღერი წუმწუმა ისე,



რომ ამ ფიგურიდან დაგვრჩეს მხოლოდ სამი ოთხკუთხედი.

**ამოცანების გამოიყვანა.**

ამოცანა № 17-ტე სისწორით გამოიყვანეს მეხუთე ლეგ. ტყვიამფრქვევ გუნდის და ქუთაისის სამხედრო კომისარიატის მოლაშქრეებმა ხარ. ლამსარიამ და ვალერიან ძოწენიძემ და სარტ. ლეგიონიდან. ვ. ბრეგვაძემ. ეზოში დადიოდა 15 წიწილა და 6-სი გოჭი.

ამოცანა № 22 სისწორით გამოყვანა საავიაციო რაზმის მოლაშქრემ იოსებ სტეფანოვმა. ბაბუა იყო 3, და ჰქონდათ მანათ ნახევარი. შვილი 3 და ჰქონდათ 15 მანეთი ხოლო შვილიშვილი 14 და ჰქონდათ 3 მან. და 50 კაპ.

## პასუხად ამხ. ჭანკვეტაძეს.

გაზეთ „წითელ-არმიელი“ს № 108-ში ა. წ. 17 მაისიდან მოთავსებულია ამხ. ჭანკვეტაძის წერილი, რომელიც სწერს, თითქოს 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონიდან მივლენილი 3—წითელ-მოლაშქრე სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისარიატში უყურადღებოთ არიან ლეგიონის მიერ მიტოვებული და არც კი ახსოვთ. შემდეგ მოყავს—ჯამაგირი არ მიუღიათ 4—თვეა, სურსათს არ ღებულობენ თავის დროზე, პოლიტიკურად მომზადებულნი არ არიან და სხვა და სხვა.

თუ ნაწილი ზემოხსენებულისა სინამდვილეს შეეფერება, უნდა გაიგოთ ამხ. ჭანკვეტაძე, თუ ვის მიუძღვის ამაში ბრალი?

1. სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისარს გაეგზავნა თავის განკარგულებაში, მიმართვით №—1635 ა. წ. 17—იანვრიდან, 3—წითელ მოლაშქრე ამხ. ამხ. ჯიშკარიანი, ყვავიაშვილი და ბერიშვილი, რომლებმაც ლეგიონიდან გაგზავნისას თან წაიღეს კმაყოფის ატესტატები, გარდა ჯამაგირისა, სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისრის სახელზე. უკანასკნელი ვალდებული იყო წითელ-მოლაშქრენი ჩაერიცხა კმაყოფაზე, რომელ ნაწილშიაც არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან წითელ-მოლაშქრენი ლეგიონს ამორიცხული ჰყავდა კმაყოფიდან ბრძანების თანახმად. 65—კავ. ცხენოსან ლეგიონში მიიღებდენ კმაყოფას თუ მე-6 ლეგიონის მე-9 ასეულში, ამისათვის ყურადღება უნდა მიექცია მაზრის კომისარიატს, რომლის განკარგულებაშიც არიან წითელი მოლაშქრენი.

2. ჯამაგირის მიუღებლობის შესახებ, რომელზეც სწერს ამხ. ჭანკვეტაძე, სრულებით არ შეეფერება სიმართლეს. ჯერ უნდა გაეგო ამხანაგს და შემდეგ დაეწერა, ვინაიდან წითელ-მოლაშქრეებს მიღებული აქვთ ჯამაგირი აპრილის თვის ჩათვლით გარდა ამხ. ყვავიაშვილისა, რომელსაც დაეკავა თებერვლის თვის ჯამაგირი, დაკარგულ საცვლების ანაზღაურებლად, ხოლო დანარჩენებს თებერვლის და მარტის გაეგზავნა ფოსტით № კვიტანციისა-798,4,55 და 656. რაც შეეხება აპრილის თვის ჯამაგირს მიღებული აქვს მაზრიდან ჩამოსულ ამხ. ჯიშკარიანს ტანისამოსთან ერთად. ტანისამოსი თვით ლეგიონმა აპრილის ბოლო რიცხვებში მიიღო და არც შეეძლო უფრო ადრე დაეკმაყოფილებინა.

3. რაც შეეხება პოლიტიკურად მოუმზადებლობას, ამაში ბრალი გედებათ თვით თქვენ ამხ. ჭანკვეტაძე, ვინაიდან თქვენ ხართ პოლიტხელი, რომელ ასეულშიაც საბედნიეროდ მოხვედრილან წით.-მოლაშქრენი და თქვენ უნდა მოგემზადებინათ ისინი თქვენს ასეულთან ერთად; თქვენ უნდა იცოდეთ, რომ პოლიტიკურ მომზადებაში ლეგიონი ვერ გაუწევს წითელ-მოლაშქრეს დახმარებას, რომლებიც იმყოფებიან სამხედრო კომისარიატთან მივლენილად. ამ გვარი მივლინებულნი სხვა კომისარიატებშიაც ყავს ლეგიონს, მაგრამ როგორც პოლიტიკურად ისე ყოველ მხრივად უწევს დახმარებას, როგორც სამხედრო კომისარიატი, ისე იმ ნაწილების პოლიტხელები, როაელზედაც მიმაგრებულნი არიან წითელ-მოლაშქრენი; და თუ წითელ-მოლაშქრენი თქვენ ასეულში პოლიტ-მეცადინეობას ვერ ახერხებენ, თქვენ ყოველივე ამის შესახებ უნდა განგემარტად, მაზრის კომისრისათვის, რათა წითელ-მოლაშქრენი მიემაგრებინა ერთ-ერთ ნაწილში პოლიტ-სამეცადინოთ.

თქვენ კი ამხ. ჭანკვეტაძე, ჯერ საქმის ვითარების გამორკვევამდე, დაეყრდენით უსაფუძვლო ცნობებს და ამით მკითხველები შეიყვანეთ შეცდომაში.

1-ლ ქ. მ. ლეგიონის შტაბის უფროსის თან. ა. შონია.

## სამხედრო ტრიბუნალი.

16 მაისს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით განიხილა რა საქმე ქართულ ცხენოსან ლეგიონის წით. მოლ. გაბუნია ალექსანდრე თედორეს-ძის დეზერტირობაში ბრალდების შესახებ გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული გაბუნია მსახურებდა ცხენოსან ლეგიონში წით. მოლ. ა. წ. 7 იანვარს, უფროსების ნება დაურთველად მიუტოვებია სამხედრო ერთეული, დაუყვია ნაწილის გარეშე 23 დღე და ა. წ. 1 თებერვალს თავისი ნებით დაბრუნებულა ნაწილში. აღნიშნული გარემოებას ბრალდებული ხსნის თავისი შეუგნებლობით და ოჯახის ცუდი მდგომარეობით.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით (6) ექვსი თვის ვადით და კონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაცია (5) ხუთი მანეთის ღირებულებით. მხოლოდ თანახმად საქართველოს ცაკის № 13 ამნისტიის ძალით სასჯელი—თავისუფლების აღკვეთა-შეუმცირდა ნახევრად.

გნია.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**რადიო ღუმელების შესახებ.**

რადიო ტეხნიკის ძლიერი განვითარების გამო, ბევრს აინტერესებს და იმედი აქვთ, რომ შესაძლებელი გახდება სითბოებრივი ენერგიის გადაცემა მანძილზე ისე, როგორც ამ ჟამად გადასცემენ ბგერებს.

სამეტალურგიო პროცესთან ელექტროფიკაციამ. წამოაყენა საკითხი დამადნობელი ელექტრო ღუმელების შაშოლების შესახებ.

ამ ჟამად აკეთებენ ისეთ დამადნობელ ღუმელებს, რომელშიდაც გამომუშავდება მოკლე ტალღებიანი ნაკადი ლითონის დასადნობად.

ასეთი ხასიათის ღუმელები უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ტეხნიკის უდიდეს მიღწევად, რადგანაც მათი გამოყენებისათვის საჭიროა ჩვეულებრივი ძალს ელექტრო ნაკადი —200 ვოლტი.

ლითონის დადნობა ისეთი სისწრაფით ხდება, რომ სანამ ღუმელის კედლები გახურდებოდეს, შიგ მოთავსებული ლითონი უკვე გამდნარია.

ამ ცდებმა ისეთი გავლენა მოახდინა მეცნიერულ აზრზე რომ უკვე საფუძვლიანად დაიწყეს ფიქრი ელექტრო-ანდამატური ტალღების გამოყენების შესახებ, რომლებიც ვრცელდებიან რადიო სადგურების მიერ განსაკუთრებულ აპარატებში, მისი სითბოებრივი ენერგიის გამოსამუშავებლად.

**მბრუნავი სახლები.**

გაცილებით დიდი უპირატესობა აქვთ ისეთ ოთახებს საერთოდ, რომლებსაც მზე ადგებათ. მზის სხივები აშრობს ოთახს და ამნაირად სინესტეს არასადროს არა აქვს შიგ ადგილი. რომ სახლის ყველა ოთახები აკმაყოფილებდეს ამ პირობას ე. ი. ყველა ოთახებს ხვდებოდეს მზის სხივები, ჩიკაგოში (ამერიკის ქალაქია) დაიწყეს მბრუნავი სახლების აგება.

სახლი იდგმება ისეთ ფუძეზე, რომელიც დაყრდნობილია სქელი რკინის ფიცარზე, ეს უკანასკნელი (რკინის ფიცარი) თავის მხრივ ეყრდნობა რკინის გოგრებს. სახლის მობრუნება სწარმოებს რკინის საფუძეში დატეულ ღერძის გარშემო რამოდენიმე ელექტრომოტორების საშვალებით. სახლის ყველა გვერდები რიგ-რიგობით მობრუნდებიან ყოველ დღე მზის სხივების პირდაპირ.

**გერმანელების ექსპედიცია ევერესტზე (უმაღლესი მთაა აზიაში)**

ინგლისელების ცდამ ასულიყვნენ როგორმე ამ უმაღლესი მთის—ევერესტის მწვერვალზე დიდი ინტერესი გამოიწვია სხვა სახელმწიფოებშიც. გერმანიის სამეცნიერო წრეები ძლიერ გაიტაცა ამ გარემოებამ.

მიმდინარე წლის 2 ივლის გერმანელების ექსპედიცია მიემგზავრება მთაზე ასასვლელად.

მწვერვალზე ასვლას დაიწყებენ მთის სამხრეთის მხრიდან, მთელი ექსპედიცია შემდგარი იქნება 60 კაცისაგან, მათ შორის მხოლოდ 30 იმუშავებენ მწვერვალებზე. მწვერვალზე ასვლას აწარმოებენ ეტაპებით.

ამნაირად მოწინავე რაზმი მიემგზავრება წელს, ხოლო ექსპედიციის მთავარი კადრი კი შემდეგ.

ექსპედიცია შეიარაღებული იქნება უმავთულო ტელეგრაფის აპარატებით, ისე რომ მათზე ასვლის დროს ისევ ექნება ურთიერთობა ცივილიზაციურ ქვეყნებთან.

## ამბები სოფლებიდან.

**სკოლის საჭიროებისათვის.** სენაკის აღმასკომმა უფასოთ გასცა თეკლათის სკოლის საჭიროებისათვის ხე-ტყის მასალა.

**ხიდის აგება.** ახალქალაქის აღმასკომმა გაგზავნა ტეხნიკოსი სოფ. ოკამში, ადგილობრივ ხიდის ასაგებათ მუშაობის წარმოების მიზნით.

**გლეხების შუამდგომლობა.**

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები

ქ. წ. დ. არმიის ტფილისის საოლქო სანივთო საწყობთან არსებული სავაჭრო კომისია

ა ც ხ ა დ ე ბ ს, რომ კვირას, ამა წლის 24 მაისს, დილის 11 საათზე საწყობის შენობაში (ნავთლუღში) დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა.

არმიისათვის გამოუსადეგარი ქონების გასასყიდად. სახელდობრ გაისყიდება სხვა და სხვა გვარი ძველი ნივთები, ცხენების მოსართავები, სხვადასხვა ზომის ხამუტები, ხამუტების ქვე-სასთუმლები, წელსამაგრები, კეხები მოსართავებით, სადავეები აღვირებით, ცხენებისა და აქლემების მკერდ-საკრავები, ნალები, საჭედი ლურსმანი, ყაზახური უზანგები, სხვა და სხვა თოქალთოები და სარბილობელი ნაბდები, რეზინგავლებული ტილოები, ცომოლის ინგლისური ქუდები, საწვრები, ხელსაწყოები, ფრანგული, საჭინჭილაქო და ღერძსამაგრების გასაღებები, გუთნები, სანიაველები და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოები, ნადნობი ლითონი, საკერავ მანქანების ნატეხები და სხვა ნაწილები, დამტვრეული საწოლები, რკინის, თუჯის და თუნუქის ნამტვრევი, ღერძები, რესორები და სხვა ნივთები.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ ზემო-ჩამოთვლილი ქონების დათვალიერება შეუძლიათ საჯარო ვაჭრობის დღეს, დილის 10 საათიდან.

სავაჭრო კომისია.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქ. სამხ. პოლიტიკურ სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატობიდან-პარტიის წევრებად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) კვარანცხელია გიორგი სამსონისძეს, 2) ძიძიტაშვილი ნიკოლოზ პეპოსძეს 3) კუპარიშვილი გიორგი ლუკასძეს.

და ახ. კომკავშირის წევრებს პარტიის კანდიდატათ გადასარიცხავათ 1 მდინარაძე ვალერიანე ივანესძე 2) კაკუშაძე ირაკლი მაქსიმესძეს 3) პუდოვ ნიკოლოზ იაკობისძეს ზემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების საწინააღმდეგო თუ ვინმეს რაიმე აქვს ვთხოვთ გვაცნობონ სამხ. პოლიტსკოლის კომუჯრედში.

კომუჯრედის მდივ. მიქაიშვილი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუთაისის ქ. № 3.